საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-593

23/07/2018

ქ. თბილისი

შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ ყულევის ნავთობსაცავის N5 სარეზერვუარო პარკის ექსპლუატაციის პირობების შეცვლასა და წარმადობის გაზრდის პროექტის სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ყულევის ნავთობსაცავის N5 სარეზერვუარო პარკის ექსპლუატაციის პირობების შეცვლასა და წარმადობის გაზრდის პროექტის სკრინინგის განცხადება.

ნავთობსაცავის ტერმინალის მდებარეობს ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ ყულევის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტერიტორია გამოირჩევა ტექნოგენური დატვირთვით. ახალი აუთვისებელი ტერიტორიების გამოყენება საჭიროებას არ წარმოადგენს. ყულევის ნავთობსაცავის N5 სარეზერვუარო პარკიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს 116 მეტრში.
შპს „შავი ზღვის ტერმინალი“ წლების განმავლობაში ახორციელებს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ასევე მეთანოლის მიღებას სარკინიგზო ტრანსპორტიდან და გადატვირთვას ტანკერებში. სოფ. ყულევში შპს „შავი ზღვის ტერმინალის” ნავთობპროდუქტების მე-5 სარეზერვუარო პარკის საცავებში დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნაფტას და მეთანოლის სარკინიგზო ტრანსპორტით მიღება, რეზერვუარებში განთავსება და ყულევის ნავსადგურის საშუალებით საზღვაო ტრანსპორტში გადატვირთვა, რაზეც გაცემულია 2016 წლის 31 მაისის N28 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ ნავთობსაცავის N5 სარეზერვუარო პარკში ხდება კონსტრუქციული მოცულობის და წარმადობის გაზრდა 10 000 $მ^3$-ით, ასევე გადასატვირთი ნივთიერებების გაზრდა ორი დასახელების ნივთიერებით, კერძოდ: პარაქსილოლით 500 000 $მ^3$/წელ და ბენზოლი 120 000 $მ^3$/წელ. გარდა ამისა, სკრინინგის განცხადების თანახმად ნაცვლად რუსული სტანდარტების რეზერვუარებისა, რომელზეც გაცემული იყო 2016 წლის 31 მაისს N28 დასკვნა, ხორციელდება ევროსტანდარტების 70 000 $მ^3$ ვერტიკალური რეზერვუარების მონტაჟი, კერძოდ 2X20000, 2X10000 და 2X5000 მოცულობებით. ასევე, ხორციელდება შიდა სამოედნო გზებისა და სადრენაჟე სისტემების მოწყობა/მშენებლობა.
პროექტით ასევე გათვალისწინებულია ნავთობპროდუქტების და ქიმიური ნივთიერებების მიღება-დასაწყობება და გაცემის ოპერაციების შესრულება N2 ნავმისადგომზე დაპროექტებული ახალი სტენდების საშუალებით.

ნავთობპროდუქტების საცავების გაფართოებისა და ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ამასთან რეკონსტრუქციის ეტაპზე მოსალოდნელია ინერტული ნარჩენების წარმოქმნა, გამომდინარე აქედან საჭიროა ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება.

საქმიანობის განხორციელებისას მოსალოდნელია გრუნტის წყლების დაბინძურების რისკი.
პროექტით გათვალისწინებულია ობიექტთან მისასვლელი გზების (შიდა სამოედნო) მშენებლობა, რაც ითვალისწინებს გრუნტის მომზადების სამუშაოებს, ინერტული მასალების დაგება-დატკეპნას და ასფალტით მოპირკეთებას. ასევე საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია წყალშემკრები და სადრენაჟე სისტემების მოწყობა. გამომდინარე აქედან მოსალოდნელია ნიადაგზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება.

მნიშვნელოვანია ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება, როგორც რეკონსტრუქციის ისე ნავთობპროდუქტების საცავების ექსპლუატაციის ეტაპზე. საქმიანობის განხორციელების პროცესში.

N5 სარეზერვუარო პარკის საქმიანობა ითვალისწინებს ნავთობპროდუქტების მიღებას, შენახვას და გაცემას, ხოლო წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებაში მოცემული ინფორმაციით გათვალისწინებულია, როგორც გადასატვირთი პროდუქტის მოცულობების გაზრდა, ასევე ახალი სახეობების ქიმიური ნივთიერებების გადატვირთვა. შესაბამისად საქმიანობის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვნად შეიცვლება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა შემადგენლობა, მოცულობა და გაფრქვევის სხვა პარამეტრები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებით დგინდება, რომ ნავთობპროდუქტების საცავების ექსპლუატაციის პირობების ცვლილებისას მოსალოდნელია ნიადაგზე, მიწისქვეშა წყლებზე, ატმოსფერულ ჰაერზე და ხმაურით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის 6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის და ასევე „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 №1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ ყულევის ნავთობსაცავის N5 სარეზერვუარო პარკის ექსპლუატაციის პირობების შეცვლასა და წარმადობის გაზრდაზე გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ;
2. შპს „შავი ზღვის ტერმინალი“ ვალდებულია უზრუნველყოს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „შავი ზღვის ტერმინალს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი